

Image not found or type unknown

## საჯარო მოხელეს განაცდური ხელფასი აუნაზღაურდა

საია იცავდა ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ყოფილ თანამშრომელს, რომელიც 2017 წელს ჩაირიცხა მოხელეთა რეზერვში და მიუღებელი ჰქონდა რამდენიმე თვის თანამდებობრივი სარგო. მიუღებელი ხელფასის ანაზღაურებაზე საკრებულომ მას უარი უთხრა, რამაც სასამართლოსთვის მიმართვის საჭიროება წარმოშვა.

2018 წლის ნოემბერს ბათუმის საქალაქო სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა და საკრებულოს მისთვის 34 500 ლარის ანაზღაურება დაეკისრა. მოპასუხემ სასამართლოს გადანყვეტილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებში გაასაჩივრა, თუმცა, შედეგი არ შეცვლილა და ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადანყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა.